სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

სადისციპლინო კომისია

მირიან თავზარაშვილი - თავმჯდომარე

ედუარდ ნაჭყებია

ლევან ჩიკვაიძე

აკაკი კერესელიძე

ვახტანგ სამხარაძე

სხდომის თარიღი, ადგილი - 2023 წლის 7 ნოემბერი. სრკ-ს ოფისი.

I. **დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).**

1. სრკ-ს სამედიცინო სამსახურის უფროსის, ნუცა შამათავას მომართვა 30/10/2023.
2. 2023 წლის 6 ნოემბერის, კლუბ თბ „ხვამლი“-ს მენეჯერის, ნუგზარ მალაღურაძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი.

II. **ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა**

1. 2023 წლის 30 ოქტომბერს სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს წერილობით მომართა სრკ-ს სამედიცინო სამსახურის უფროსმა ნუცა შამათავამ. მომართვაში აღნიშნულია, რომ სრკ-ს მიერ ორგანიზებულ დიდი 10-ს შეჯიბრებაში მონაწილე გუნდი, თბ „ხვამლი“ არღვევს დიდი 10-ს საშეჯიბრო დებულების შემდეგ პუნქტებს :

   10.3. ყველა კლუბი (გუნდი) ვალდებულია, სეზონის დაწყებამდე წარმოადგინოს გუნდში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

   10.4. დიდი 10-ის მონაწილე თითოეული კლუბი (გუნდი), ვალდებულია თამაშზე ჰყავდეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი, კერძოდ: მინიმუმ - 1 ექიმი და 1 ფიზიოთერაპევტი/მასაჟისტი.

   10.7.„დიდი 10-ში მონაწილე ყველა გუნდის სამედიცინო პერსონალი ვალდებულია მონაწილეობა

მიიღოს სრკ-ს ტრავმების კვლევის პროგრამაში, რაც გულისხმობს ყოველი თამაშის შემდგომ ტრავმის სრკ-ს სამედიცინო სამსახურისთვის ტრავმის ოქმების წარდგენას (ტრავმების კვლევის პროგრამის დეტალური აღწერა, ტრავმის ოქმის შაბლონი, მისი შევსების წესი და ვადები გუნდების ექიმებთან გაიგზავნება დამატებით).

2. კლუბ თბ „ხვამლი“-ს მენეჯერის, ნუგზარ მალაღურაძის გამოკითხვის მიხედვით - თბ „ხვამლი“-ს მენეჯერი, ნუგზარ მალაღურაძე დაეთანხმა სრკ-ს სამედიცინო სამსახურის უფროსის მომართვაში აღნიშნულ გარემოებას, კერძოდ, რომ მომართვის თარიღისთვის (30/10/2023) თბ „ ხვამლი“ არღვევდა სრკ-ს დიდი 10-ს საშეჯიბრო დებულების **10.3, 10.4** და **10.7** პუნქტებს. ნუგზარ მალაღურაძის განცხადებით ამ დროისათვის (06/11/2023) საკითხი მოგვარებულია და სრკ-ს სამედიცინო სამსახურში გადაგზავნილია კლუბში დასაქმებული შესაბამისი სამედიცინო პირის შესახებ ინფორმაცია.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და დადგენილად ცნო 2023 წლის 30 ოქტომბრამდე კლუბ თბ „ხვამლი“-ს მხრიდან სრკ-ს მიერ ორგანიზებული დიდი 10-ს საშეჯიბრო დებულების **10.3, 10.4** და **10.7** პუნქტების დარღვევა.
2. ზემოაღნიშნულ გარემოებას სადისციპლინო კომისია მიიჩნევს მოთამაშეთა უსაფრთხოების და კეთილდღეობის სერიოზულ დარღვევად და აღნიშნავს, რომ კლუბი/გუნდი რომელსაც არ ჰყავს შესაბამისი სამედიცინო განათლების მქონე მოთამაშეთა ჯანმრთელობაზე პასუხისმგებელი პირი და სადაც არ იწარმოება მოთამაშეთა ჯანმრთელობის მონიტორინგი კვალიფიციური პირის მიერ, არღვევს მსოფლიო რაგბის და შესაბამისად სრკ-ს უმთავრეს პრიორიტეტს - **მოთამაშეთა უსაფრთხოების და კეთილდღეობის** შესახებ.

სადისციპლინო კომისიამ წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვისა და მსჯელობის შემდეგ მიიღო შემდეგი

გადაწყვეტილება

1. კლუბ თბ „ხვამლს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 1000(ათასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 10 დეკემბრამდე.
2. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	10/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**